სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/189

ქ. თბილისი 07 08 2019 წ.

დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ის დოქტორანტურის დებულებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-04/184 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს დოქტორანტურის დეპარტამენტის უფროსს დ. ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტებზე (იხ.დანართი) 2019 წლის 2 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ-კვირის გარდა;
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის კანცელარიას;
5. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 16 სექტემბრის 10^{00} საათიდან სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 17 სექტემბრის 10^{00} საათიდან, 19 სექტემბრის 16^{00} საათამდე. მათი განხილვა - 20 სექტემბრის 9^{00} საათიდან. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 20 სექტემბერს 11^{00} საათზე.

6. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2019 წლის 20 სექტემბერს 11^{30} საათიდან; გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს იმავე დღეს 20 სექტემბერს;

7. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2019 წლის 20 სექტემბრის 16^{00} საათიდან 23 სექტემბრის 12^{00} საათამდე, მათი განხილვა – 23 სექტემბერს 12^{00} საათიდან;

8. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2019 წლის 23 სექტემბერს;

9. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2019 წლის 23 სექტემბერს;

10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ზ.გასიტაშვილს

11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი